სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/75 4.09. 2019 წ.

## 2020-2021 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ

1. დამტკიცდეს ლექცია-პრაქტიკუმების და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების სასწავლო გრაფიკი შემდეგი სახით:

| I ცვლა | II ცვლა |
|---|---|
| I ლექცია $9^{00}$-$9^{50}$ | V ლექცია $13^{00}$-$13^{50}$ |
| II ლექცია $10^{00}$-$10^{50}$ | VI ლექცია $14^{00}$-$14^{50}$ |
| III ლექცია $11^{00}$-$11^{50}$ | VII ლექცია $15^{00}$-$15^{50}$ |
| IV ლექცია $12^{00}$-$12^{50}$ | VIII ლექცია $16^{00}$-$16^{50}$ |

2. კორონა ვირუსის პანდემიის გავრცელების საშიშროების რისკების შემცირების მიზნით უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი წარიმართოს შერეული სახით ონ - ლაინ სწავლების და სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარებით.

3. სასწავლო ცხრილები შედგეს ფაკულტეტის დეკანების, დეკანის მოადგილეების და სასწავლო პროცესიის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების თანამშრომლების ერთობლივი საქმიანობით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, უნივერსიტეტის სააუდიტორიო ფონდის გათვალისწინებით.

4. სასწავლო პროცესიის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსს პროფ. გიორგი ბერძულიშვილს დაევალოს სააუდიტორიო ფონდის შესწავლა და დეკანებთან შეთანხმებით მისი ოპტიმალური განაწილება - გამოყენება სასწავლო ცხრილის შედგენის დროს.

5. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სასწავლო კურსების ლექციები ჩატარდეს ონლაინ, ხოლო იმავე კურსებისათვის პრაქტიკული ან/და ლაბორატორიული მუშაობები სააუდიტორიო მეცადინეობის სახით.

6. მაინორ პროგრამებზე ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები ჩატარდეს ონ-ლაინ.

7. I და III კურსებზე სალექციო ონლაინ მეცადინეობები დაინიშნოს I ცვლაში კვირის ყოველ ორშაბათს, სამშაბათს და შაბათს, პრაქტიკული მეცადინეობები კვირის ყოველ ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს;

8. II და IV კურსებზე სალექციო ონლაინ მეცადინეობები დაინიშნოს II ცვლაში კვირის ყოველ ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს, პრაქტიკული მეცადინეობები კვირის ყოველ ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს;

9. იმ სასწავლო კურსებზე, რომლებშიც დამტკიცებული სასწავლო კურიკულუმისა და სილაბუსის მიხედვით ლექცია 1 საათი, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობა 2 საათი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია პრაქტიკული მეცადინეობის 1 საათი ჩატარდეს ონ-ლაინ, ამ ბრძანების მე-8 და მე-9 მუხლებით დადგენილ დღეებში.

10. უცხო ენებში (ენათა ცენტრი)მეცადინეობები ჩატარდეს:

10.1. პირველი სასწავლო წლის სტუდენტებისათვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ორი კვირეული დატვირთვა ორშაბათს და სამშაბათს ონ-ლაინ;

10.2. პირველ სასწავლო წლის სტუდენტებისათვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ორი კვირეული დატვირთვა ოთხშაბათს და ხუთშაბათს უნივერსიტეტის აუდიტორიებში;

10.3. მეორე სასწავლო წლის სტუდენტებისათვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ორი კვირეული დატვირთვა ხუთშაბათს და პარასკევს ონ-ლაინ;

10.4. მეორე სასწავლო წლის სტუდენტებისათვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ორი კვირეული დატვირთვა სამშაბათს და ოთხშაბათს უნივერსიტეტის აუდიტორიებში;

10.5. უცხო ენის სასწავლო ცხრილის დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნას უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის რექტორის ბრძანებით (№9, 1/02 2012 წ) დამტკიცებული სასწავლო ცხრილის საათობრივი ბადე;

11.მედიცინის ფაკულტეტზე სასწავლო ცხრილები შედგეს კურაციების სპეციფიკის გათვალისწინებით.

12. მაგისტრატურაში სალექციო მუშაობა 16 ⁰⁰ საათიდან წარიმართოს ონ-ლაინ სასწავლო კვირის ყოველ ორშაბათს, სამშაბათს, პარასკევს და შაბათს;

13. მაგისტრატურაში პრაქტიკული მეცადინეობები 16 ⁰⁰ საათიდან წარიმართოს უნივერსიტეტის აუდიტორიებში სასწავლო კვირის ყოველ ოთხშაბათს, ხუთშაბათს;

14. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე პირველ სასწავლო წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესი წარიმართოს ონ-ლაინ და დაევალოს დოქტორანტურის განყოფილების უფროს პროფ. თემურ სურგულაძეს 2020 წლის 28 სექტემბრამდე დაგეგმოს სასწავლო ცხრილი.

15. სასწავლო ცხრილების დაგეგმვის დროს ფაკულტეტის დეკანებმა საუდიტორიო ფონდიდან გაითვალისწინონ და აღჭურვონ საუნივერსიტეტო სივრცეები ონლაინ ლექციების ჩასატარებლად.

16. დასაშვებია ონ-ლაინ ლექციებს შორის ინტერვალი საუდიტორიო ფონდის გათვალისწინებით;

17. დაევალოს სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილებას 2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სასწავლო ცხრილების შედგენა მოახდინოს აღნიშნული ბრძანების მიხედვით.

18. უნივერსიტეტის კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა ფაკულტეტების დეკანებთან, დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან და განთავსება უნივერსიტეტის ყველა კორპუსში თვალსაჩინო ადგილზე.

19. მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყონ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

20. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს ბრძანება დაიყვანონ თითოეულ სტუდენტამდე და აკადემიურ პერსონალამდე.

21. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შ. კირთაძემ.

საფუძველი: საქართველოს მთავრობის დადგენილება №322 23. 05, საქართველოს მთავრობის დადგენილება №546, 31.08.

რექტორი პროფესორი როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვი

სამსახურის უფროსი პროფესორი იმერ ბასილაძე